ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 379

9 აგვისტო
"---" -------- 2022 წ.

ქ. თბილისი

მისამართებზე - ქ.თბილისი, ა.წერეთლის გამზირი №23-25 (ს/კ. №01.13.07.008.002), ქ.თბილისი, ბათუმის ქ.№11, ა წერეთლის გამზირი №19-21 (ს/კ. №01.13.07.008.003) მდებარე ობიექტისთვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლის პირველი, მე-3 პუნქტების, ასევე მე-11 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, მე-12 პუნქტისა და შპს ,,მეგა დეველოპმენტი"-ს (ს/ნ:405403013) დირექტორის №10/032221792-03 განცხადების საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსი მიენიჭოს მისამართებზე - ქ.თბილისი, ა.წერეთლის გამზირი №23-25 და ქ.თბილისი, ბათუმის ქ.№11, ა. წერეთლის გამზირი №19-21 მდებარე საკადასტრო ერთეულებს: №01.13.07.008.002 და №01.13.07.008.003;
2. შპს ,,მეგა დეველოპმენტმა" (ს/ნ. 405403013) მ/წლის 31 აგვისტომდე წარმოადგინოს №10/032221792-03 განცხადებაში აღნიშნული განაჩენი სისხლის სამართლის საქმეზე;
3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს ამავე განკარგულების პირველი პუნქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას;
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე